სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ზვიად გოჩაშვილის* **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**23**	**25**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**23**	**25**
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**19**	**20**
პროფესიული თვისებები	**15**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**7**	**10**
პროფესიული აქტივობა	**3**	**5**
ქულათა ჯამი	**90**	**100**

თარიღი : 16.09.2024 წ

ტრისტან ზენაშვილი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი
ტრისტან ბენაშვილი

სააპელაციო სასამართლოებისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის ზვიად გოჩაშვილის შეფასება/დასაბუთება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულებით დაწყებული სააპელაციო სასამართლოებსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის პროცედურის ფარგლებში განვახორციელე კანდიდატის **ზვიად გოჩაშვილის** შეფასება. შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით და 35-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით.

შეფასების დასაბუთება ეფუძნება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ ამ კანონით დადგენილი წესით კანდიდატების შესახებ მოძიებულ სანდო ინფორმაციასა და 2024 წლის 4 სექტემბერს, ხოლო 2024 წლის 28 ივნისის №1/52 განკარგულებით დაწყებული რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის პროცედურის ფარგლებში 2024 წლის 2 სექტემბერს კანდიდატთან ზვიად გოჩაშვილთან წარმართულ საჯარო მოსმენას.

<u>**კეთილსინდისიერების კრიტერიუმით**</u> სააპელაციო სასამართლოებსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის **ზვიად გოჩაშვილის** შეფასების დასაბუთებისას ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი მახასიათებლებით:

1. **პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი:**

მოძიებული მასალების თანახმად, კანდიდატის შემოსავლების დაუსაბუთებლობის ან უკანონობის ნიშნები არ გამოვლენილა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, კანდიდატს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. აქვს მიმდინარე სესხი, დადებითი საკრედიტო ისტორიით (მცირედი ჯარიმებით).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2021 წლის 16 აგვისტოდან 2024 წლის 16 აგვისტოს პერიოდში ზვიად გოჩაშვილს უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამარიალდარღვევის 2 ფაქტი, დაკისრებული სანქციები (ჯარიმა) გადახდილია დროულად.

რეკომენდატორები და სხვა გამოკითხული პირები კანდიდატს დადებითად ახასიათებენ. გამოარჩევენ მის კეთილსინდისიერებას, პასუხისმგებლობის გრძნობას, კორექტულობას, ჰუმანურობას და ა.შ. გამოკითხული რესპოდენტები მიუთითებენ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატი იყო მოკრძალებული, თავაზიანი. მისი ქცევა შეეფერებოდა მოსამართლის მაღალ სტატუსს.

არსებული მონაცემებისა და დახასიათებების მიხედვით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატს სრულად აქვს შეგნებული მისი პირადი და პროფესიული მოვალეობები.

2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა:

რეკომენდატორები კანდიდატს აფასებენ, როგორც დამოუკიდებელ, მიუკერძოებელ და სამართლიან პიროვნებას. აღნიშნავენ, რომ იგი არასდროს ექცევა სხვისი ზეგავლენის ქვეშ, მას შეუძლია ობიექტურად და მიუკერძოებლად განახორციელოს სამოსამართლო უფლებამოსილება.

ზვიად გოჩაშვილი არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი და შემომწირველი. აქვე აღსანიშნავია, რომ მოძიებული ინფორმაციის თანახმად და საჯარო მოსმენისას კანდიდატს არ გამოუვლენია რაიმე სახის მიკერძოებული დამოკიდებულება სხვადასხვა ჯგუფის მიმართ.

გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილებითა და შესწავლილი მასალების ანალიზის შედეგად, უნდა ითქვას, რომ კანდიდატის პოლიტიკური ან სხვაგვარი მიკერძოებულობის, ასევე სხვადასხვა რელიგიის, რასის, ეროვნების, სოციალური, ეკონომიკური მდგომარეობის ადამიანებისადმი ტენდენციური ან შეუწყნარებელი დამოკიდებულების ნიშნები არ იკვეთება. გასაუბრებისას კანდიდატი ცდილობდა ყოველი დასმული საკითხი განეხილა ღიად და ობიექტურად, განსხვავებული მიდგომებით.

გათვალისწინებული არგუმენტების შეფასებით და გასაუბრებაზე კანდიდატის მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრებების გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ მას შესწევს დამოუკიდებლად ლოგიკური დასკვნის გაკეთებისა და საკუთარი პოზიციის დაცვის

უნარი.

3. პიროვნული და პროფესიული ქცევა:

წარმოდგენილი მასალების შესწავლითა და გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილების მიხედვით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი თავდაჭერილი და თავაზიანი ადამიანია, მართავს საკუთარ ემოციებს. თითოეულ საკითხზე მსჯელობისას ამჟღავნებდა კორექტულობას და კონსტრუქციულობას.

კანდიდატს პოზიტიურად აფასებენ რეკომენდატორები და გამოკითხული რესპოდენტები. გარდა ამისა, გამორჩეულად აღნიშნავენ მის კორექტულობას, თავდაჭერილობას, სხვისი აზრის მოსმენის უნარს და ა.შ..

მოძიებული ინფორმაციის თანახმად, ზვიად გოჩაშვილის მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა. დაზარალებულად ცნობილი არ ყოფილა. ამასთან, საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში მოსამართლეობის კანდიდატის ზვიად გოჩაშვილის მხარედ მონაწილეობის თაობაზე ინფორმაცია ელექტრონული საქმისწარმოების საძიებო სისტემაში ვერ იქნა მოძიებული.

საჯარო მოსმენისა და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიმაჩნია, კანდიდატის პიროვნული და პროფესიული ქცევა შეესაბამება მოსამართლის მაღალ წოდებას.

4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია:

კანდიდატის რეკომენდატორებისა და მასთან პიროვნულ და პროფესიულ ურთიერთობაში მყოფი პირების დახასიათება-შეფასებების მიხედვით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი ხასიათდება მაღალი რეპუტაციითა და ავტორიტეტით.

რეკომენდატორებსა და გამოკითხულ პირებს კანდიდატის პიროვნულ ან პროფესიულ ნაკლოვანებებზე არ მიუთითებიათ.

კანდიდატის ზვიად გოჩაშვილის შესახებ ინტერნეტ სივრცეში არაა ხელმისაწვდომი არანაირი ინფორმაცია, კანდიდატი არ სარგებლობს სოციალური ქსელით.

საბოლოოდ, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, არ ვლინდება კანდიდატის კეთილსინდისიერების ეჭვქვეშ დაყენების რაიმე საფუძველი. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ ის სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

<u>**კომპეტენტურობის კრიტერიუმით**</u> სააპელაციო სასამართლოებსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის **ზვიად გოჩაშვილის** (როგორც სამოსამართლო უფლებამოსილების არმქონე კანდიდატის) შეფასების დასაბუთებისას ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-16

პუნქტით დადგენილი მახასიათებლებით:

1. სამართლის ნორმების ცოდნა - <u>აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასება ეფუძნება იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას და კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას.</u>

ზვიად გოჩაშვილი არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის XVII ჯგუფის მსმენელი: მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული ქულებია - 75/16; რიგითი ნომერი ჯგუფის საკვალიფიკაციო სიაში - 9. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით: „ზვიად გოჩაშვილს ადმინისტრაციულ სამართალში სწრაფად შეეძლო საქმის ფაქტობრივი გარემოებიდან მნიშვნელოვანი საკითხების გამოყოფა. ასევე, შეუძლია მასალის საფუძვლიანად და სწრაფად გააზრება. უმეტესად ლოგიკურად მსჯელობდა და იღებდა ლოგიკურად დასაბუთებულ გადაწყვეტილებას. რეკომენდირებულია მან იმუშაოს ადმინისტრაციული სამართლის სპეციფიკური საკითხების უფრო სიღრმისეულ შესწავლაზე, რაც მას გამოადგება პრაქტიკულ საქმიანობაში. სამოქალაქო სამართალში სტაჟირების მიმდინარეობისას წარმოაჩინა მრავალმხრივი თეორიული ცოდნა კონკრეტული სპეციალიზაციის, სპეციფიკის გათვალისწინებით. სემინარული მუშაობისას პრაქტიკული დავალებები შეასრულა სათანადოდ და მაღალკვალიფიციურად, გამოავლინა თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების მაღალი დონე. აზრის გამოხატვის, კამათისა თუ დისკუსიის დროს არის დამაჯერებელი, ეთიკური და არაგადაჭარბებული. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტებში აზრი ყოველთვის სწორად და თანმიმდევრულად იყო ჩამოყალიბებული. სისხლის სამართალი - კარგად იცნობს სასამართლო პრაქტიკას და სემინარული მუშაობის ეტაპზე, საკითხის განხილვისას ყოველთვის ჰქონდა დასაბუთებული პასუხი კითხვებზე. კარგად იყენებს თეორიულ ცოდნას პრაქტიკაში, კერძოდ, სემინარული მუშაობისას კაზუსების გარჩევისას. რეკომენდებულია მან იმუშაოს სემინარული მუშაობისას დაშვებული შეცდომების გამოსწორებაზე და წერილობითი უნარების უფრო მეტად განვითარებაზე."

საჯარო მოსმენებისას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა კანდიდატს დაუსვეს ზოგადი და კონკრეტული სამართლებრივი ხასიათის შეკითხვები.

შეიძლება ითქვას, რომ ზვიად გოჩაშვილი კარგად ფლობს საქართველოს სამოქალაქო და სისხლის სამართლის როგორც მატერიალურ, ისე საპროცესო სამართლის თეორიულ საფუძვლებს. კანდიდატი არსებითად ადეკვატურად აცნობიერებს განხილული სამართლებრივი ნორმების შინაარსსა და სამართლებრივ დანიშნულებას. მისი პასუხები თანმიმდევრული და არგუმენტირებული იყო, ასევე გაჯერებული იყო პრაქტიკული მაგალითებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მან არასრული პასუხი გასცა საკასაციო საჩივართან, ადმინისტრაციულ სამართალში სარჩელის უზრუნველყოფასთან და მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებებთან დასმულ შეკითხვებს.

კანდიდატი სამართლებრივი საკითხებზე მსჯელობისას იშველიებდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტებს. მისი მსჯელობა იყო

დამაჯერებელი და ამომწურავი, მან ერთნაირად წარმატებით გაართვა თავი როგორც, სისხლის სამართლის, ისე სამოქალაქო სამართლის სფეროდან სამართლებრივ საკითხებზე დასმულ კითხვებს.

2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია - <u>აღნიშნული მახასიათებლის შეფასება ეფუძნება იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის ანალიზს, კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებასა და რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს</u>.

ზვიად გოჩაშვილს აქვს სპეციალობით მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება, ამასათან, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით: „მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტებში აზრი ყოველთვის სწორად და თანმიმდევრულად იყო ჩამოყალიბებული." ასევე, კანდიდატთან პირად თუ სამსახურებრივ ურთიერთობაში მყოფი რეკომენდატორებისა და რესპოდენტების ინფორმაციით, კანდიდატს გააჩნია სამართლებრივი ნორმის შინაარსის სწორად გადმოცემის უნარი, რის გამოც კარგად ახერხებს გადასაწყვეტი საკითხის სამართლებრივ დასაბუთებას. ამასთან, მას შეუძლია ხაზგასმა გააკეთოს იმ არგუმენტებზე, რომლებზეც მხარეები ამყარებენ თავიანთ მოთხოვნებს და სამართლებრივი დასკვნები დააფუძნოს სადავო სამართლებრივი ურთიერთობის მარეგულირებელ ნორმებზე.

მიმაჩნია, რომ საჯარო მოსმენის პროცესში კანდიდატის მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრებები ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით არგუმენტირებული და დასაბუთებულია. კანდიდატს შეუძლია სამართლებრივი პრობლემის არსის სწორად დანახვა, ძირითად საკითხზე კონცენტრირება და მისი ანალიზი.

3. წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი - <u>აღნიშნული მახასიათებლის შეფასება ეფუძნება იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის ანალიზს, კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებასა და რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს</u>.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით: „ზვიად გოჩაშვილი სწრაფად ერკვევა დავის არსში, შეუძლია გადაწყვეტილების მისაღებად მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების გამოკვეთა და მათთვის სწორი სამართლებრივი შეფასების მიცემა. აზრს გადმოსცემს ლოგიკურად თანმიმდევრულად და დამაჯერებლად. შეუძლია სწორად წარმოაჩინოს სადავო საკითხის არსი და შესაბამისი დასაბუთებით ახსნას მიღებული გადაწყვეტილება. კანდიდატი გადაწყვეტილებაში არის ძალიან სწრაფი და დამაჯერებელი. მისი დასაბუთებები ლოგიკური და გასაგებია. კანდიდატს შესწევს უნარი შეაფასოს და წერილობითი ფორმით გასაგებად გადმოსცეს მისი არგუმენტაცია შესაფასებელ საკითხთან დაკავშირებით. გადაწყვეტილებების/საპროცესო დოკუმენტების პროექტები შესრულებული იყო ძალიან კარგად და ძირითადად მხოლოდ უმნიშვნელო კორექტირებებს საჭიროებდა. მას გააჩნია აკადემიური წერის მაღალი კულტურა და სამართლებრივი დასკვნების გაკეთებისას ამომწურავად ასაბუთებს საკუთარ პოზიციებს/დასკვნებს. კანდიდატი ზეპირად ამომწურავად

გადმოსცემს აზრს, მსჯელობისას შეუძლია გამოყოს მნიშვნელოვანი გარემოებები, გააკეთოს ისეთი დასკვნა, რაც აადვილებს აზრის აღქმას."

გამოკითხული რეკომენდატორები მიუთითებენ, რომ ზვიად გოჩაშვილი წერისას ადეკვატურად იყენებს სამართლებრივ ტერმინოლოგიას, წერს გრამატიკულად და სტილისტურად გამართულად, აქვს აზრის ნათლად და გასაგებად ჩამოყალიბების, პროცესის მონაწილეებთან კონსტრუქციული საუბრის უნარი. გამოკითხული რესპოდენტები კომპეტენტურობის კრიტერიუმის მითითებულ მახასიათებელში პოზიტიურად აფასებენ კანდიდატს.

მივიჩნევ, რომ კანდიდატს შეუძლია აზრის დამაჯერებლად, კვალიფიციურად და გასაგებად გადმოცემა. ამასთან, იგი ადეკვატურად გადმოსცემს სათქმელს როგორც ენობრივად, ისე პროფესიული სპეციფიკის გათვალისწინებით. კანდიდატი ძირითადად მეტყველებს გარკვევით, საუბრისას საკმაოდ მშვიდი და გაწონასწორებულია. გააჩნია დასმული შეკითხვის არსის აღქმისა და სხვის მიერ გამოთქმული აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი. ჩემი აზრით, შესწევს უნარი კონსტრუქციული მსჯელობისას დაიცვას საკუთარი პოზიცია. ზოგადად, დატოვა მშვიდი და კორექტული ადამიანის შთაბეჭდილება.

4. პროფესიული თვისებები - <u>აღნიშნული მახასიათებლის შეფასება ეფუძნება კანდიდატის შესახებ არსებულ ინფორმაციას პრესასა და მედია საშუალებებში, მასთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს</u>.

გამოკითხული რეკომენდატორები ზვიად გოჩაშვილს ახასიათებენ როგორც მაღალი საოფისე კულტურის მქონე, პუნქტუალურ, შრომისმოყვარე, მიზანდასახულ პიროვნებას. აღნიშნავენ, რომ კანდიდატს შეუძლია სტრესულ გარემოში მუშაობა, დროის სწორად განაწილება და გუნდური საქმიანობა. რაც შეეხებათ რესპოდენტებს, კანდიდატს დადებითად ახასიათებენ კომპეტენტურობის კრიტერიუმის აღნიშნული მახასიათებლით.

კანდიდატის მიმართ არ არსებობს დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ რაიმე ინფორმაცია. კანდიდატის ზვიად გოჩაშვილის შესახებ ინტერნეტ სივრცეში არაა ხელმისაწვდომი არანაირი ინფორმაცია, კანდიდატი არ სარგებლობს სოციალური ქსელით.

კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილების, გამოკითხული რეკომენდატორების და რესპოდენტების ინფორმაციის საფუძველზე მიმაჩნია, რომ ზვიად გოჩაშვილის კანდიდატურა შესაბამისია მოსამართლის თანამდებობისათვის.

5. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა - <u>აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გავითვალისწინე, მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი,</u>

საოფისე კულტურა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამაში მონაწილეობა, შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებები.

კანდიდატი ზვიად გოჩაშვილი ღიაა სიახლეების მიმართ, იგი მუდმივად ზრუნავს თვითგანვითარებაზე, აქტიურად მონაწილეობს პროფესიული წვრთნის პროგრამებში (განაჩენის დასაბუთება, აღკვეთის ღონისძიების გამოყენება და დასაბუთება, ნასამართლობის მოხსნა - იუსტიციის უმაღლესი სკოლა - 2014 წელი; ეფექტური კომუნიკაცია და კომუნიკაციის სტანდარტები - იუსტიციის უმაღლესი სკოლა - 2015 წელი; კიბერდანაშაულთან დაკავშირებულ საქმეთა (ეფექტიანი) განხილვა - იუსტიციის უმაღლესი სკოლა - 2018 წელი და სხვა). ამასთან, შეძენილ ცოდნას და უნარებს იყენებს პრაქტიკულ საქმიანობაში.

2023 წელს კანდიდატმა ჩააბარა მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, სისხლის სამართლის სპეციალიზაციით, არის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებული.

6. პროფესიული აქტივობა - აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასება ეფუძნება მის მიერ ინიციატივის გამოჩენის უნარს, იდეებისა და წინადადებების წამოყენებას, სამეცნიერო და სხვა სახის პუბლიკაციებს, პროფესიისა და საზოგადოების წინაშე მის დამსახურებას. აგრეთვე, სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში მის მონაწილეობას, საკუთარი პოზიციის და შეხედულების ღიად და თავისუფლად გამოხატვას.

ზვიად გოჩაშვილი არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, თუმცა პერიოდულად მონაწილეობს ტრენინგებსა და სემინარებში სხვადასხვა მიმართულებით, რაც მიუთითებს, რომ მზადაა, მიიღოს ახალი მისთვის საჭირო და აუცილებელი ცოდნა და ინფორმაცია. მას ახასიათებენ, როგორც მუდმივად სიახლეების ძიებაში მყოფ, თვითგანვითარებაზე ორიენტირებულ პიროვნებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, საერთო ჯამში, კანდიდატს ვანიჭებ 90 ქულას.

თარიღი : 16. 09. 2024

ხელმოწერა: